სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080148023832822

№ 3848

30 / ნოემბერი / 2022 წ.

შპს „მაგოილის“ შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“;

ტენდერის ნომერი: NAT210021279;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „მაგოილი“ (ს/ნ: 211379408);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 31 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ 2022 წლის 31 აგვისტოს № MIA62202425914 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6658), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მაგოილის“ (ს/ნ: 211379408) მიერ NAT210021279 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 12 იანვრის № 15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „მაგოილს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის almamagoil@gmail.com მეშვეობით, 2022 წლის 6 სექტემბრის №2905 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა სააგენტოში 2022 წლის 12 ოქტომბერს წარმოადგინა განმარტება (რეგისტრაციის №7775) NAT210021279 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 12 იანვრის №15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს 2022 წლის 28 ოქტომბრის №3591 წერილის პასუხად 2022 წლის 4 ნოემბერს წარმოადგინა 2022 წლის 31 ოქტომბრის № MIA8203051244 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 8545) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

1.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 31 ოქტომბრის №3427 განკარგულებით შპს „მაგოილის“ (ს/ნ: 211379408) შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა ერთი თვით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა 2022 წლის 26 აგვისტოს №75 წერილით 2022 წლის 31 აგვისტოდან ცალმხრივად შეწყვიტა 2022 წლის 12 იანვრის №15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებას და ითხოვს შავ სიასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებას რათა შესაძლებლობა მიეცეს წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა NAT210021279 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული რიგი პოზიციების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 12 იანვარს, NAT210021279 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა“ და შპს „მაგოილს“ (ს/ნ: 211379408) შორის დაიდო № 15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 180 კალენდარული დღის ვადაში უნდა შეესრულებინა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ აღმოსავლეთ საქართველოს თელავის სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე პრაქტიკული ახალი საგამოცდო მოედნის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 631 484 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 დეკემბერი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 11 მარტის შეთანხმებით ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 552 537,07 ლარი.

4.3. მიმწოდებელმა 2022 წლის 6 აპრილის № 33 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა მიმწოდებელმა 2022 წლის 6 აპრილის №33 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ:

– არ ჰქონდა დამხმარე შენობის მუშა-ნახაზები:

– არ ჰქონდა ბალისტიკის (სასროლეთის) მუშა ნახაზები, ასევე სასროლი ბასეინის კონსტრუქციული ნახაზები

– არ ჰქონდა ღობის და ჭიშკრის ნახაზები;

– არ ჰქონდა გარე განათების მონტაჟის ნახაზები;

– არ არსებობდა მშენებლობის გეოლოგიური დასკვნა, რის გამოც 7600 $მ^3$ მიწის ნაცვლად მოიჭრა 14800 $მ^3$ მიწა;

– ობიექტზე უნდა შესულიყო 8236 $მ^3$ ბალასტი, ხოლო 5006 მ3 ბალასტი არ აღმოჩნდა საკმარისი. გეოლოგიის დასკვნის არქონის გამო მიწის მოჭრისას მიწის კატეგორია 2-ის ნაცვლად აღმოჩნდა მე-4 კატეგორიის მიწა. კორექტირების მიუხედავად, აღნიშნულმა გავლენა მოახდინა ბალასტის მოცულობასა და საჭიროებაზე, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ აანაზღაურა მხოლოდ გაშლისა და მოტკეპვნის თანხა, რაც ასევე გავლენას ახდენდა სამუშაოების შესრულების დროზე და შეუსაბამო იყო სნიპთან;

– სამშენებლო ტერიტორიაზე გადიოდა ძალოვანი კაბელი, რაც ხარჯთაღრიცხვაში არ იყო ასახული და შეტანილ იქნა მხოლოდ ბოლო კორექტირების დროს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით;

– ხარჯთაღრიცხვაში არ იყო გათვალისწინებული სატრანსპორტო ხარჯი, მასალის თითქმის 99% ტრანსპორტირება უწევდა თბილისიდან;

– არ იყო წარდგენილი საყრდენი კედლის მუშა ნახაზები;

– არ ჰქონდა წყალ-კანალიზაციისა და ელექტროობის პროექტი.

ამავე №33 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე მიმართა სამშენებლო მასალებსა და საწვავზე ფასების ზრდის გათვალისწინებით ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების შესახებ.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 11 აპრილის №MIA32200951847 წერილით მიმწოდებელს, 2022 წლის 6 აპრილის №33 წერილის პასუხად, აცნობა, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმწოდებელს არ დაუსვამს საკითხი ზემოაღნიშნულ წერილში ხსენებულ პრეტენზიებზე, ამასთან, სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლისთვის მიწოდებული ჰქონდა დამატებითი ნახაზები (ღობის და ჭიშკრის ნახაზი, დამხმარე შენობების მუშა ნახაზები). ასევე, კონტროლდებოდა მშენებლობის პროცესი და გაიცემოდა კონსულტაციები სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი თანამშრომლების მიერ, რაც დასტურდებოდა იმით, რომ საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები მოცემული მდგომარეობით უკვე დასრულებული იყო, მოწყობილი იყო სამივე დამხმარე შენობის ფუნდამენტები, ასევე მოწყობილი იყო ბალისტიკის წყლის ავზი, ხოლო გარე განათების მონტაჟის, წყალ-კანალიზაციისა და ელექტროობის ნახაზები მიმწოდებელს

გადაეცემოდა საჭიროების დადგომისთანავე. რაც შეეხება ბალასტის საფუძვლის მოწყობის საკითხს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე გამოვლინდა, რომ დასამუშავებელი გრუნტი ნაცვლად მე-3 კატეგორიისა აღმოჩნდა მე-4 კატეგორია და აღარ იყო ბალასტის შეძენის საჭიროება, რის გამოც ხელშეკრულებაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება, ამოღებულ იქნა ბალასტი, როგორც მასალის ღირებულება, და დარჩა საჭირო სამუშაოები, რომელიც გულისხმობდა ბალასტის ფენის გაშლას და ტკეპვნას, რაც შესაბამისობაში იყო СНиП IV-2-82-თან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია წერილში აღნიშნავდა, რომ მისი მიზეზით არ მომხდარა სამუშაოების შეფერხება და, შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ გამოთქმული პრეტენზიები იყო უსაფუძვლო.

4.5. მიმწოდებელმა 2022 წლის 21 აპრილის № 37 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას განმეორებით მიმართა ფასების ზრდის გამო ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების თაობაზე. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე აცნობა, რომ მის 2022 წლის 6 აპრილის წერილში მითითებული სამუშაოების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებები მოითხოვდა დამატებით შეთანხმებას, რა დროსაც ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელების საკითხიც.

4.6. მიმწოდებელმა 2022 წლის 2 ივნისის №45 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა სამშენებლო მასალებსა და საწვავზე ფასების ზრდის გამო ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების თაობაზე.

4.7. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 7 ივლისის № MIA52201850228 წერილით მიმწოდებელს უარი უთხრა ფასების ზრდის გამო ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგებაზე.

4.8. მიმწოდებელმა 2022 წლის 18 ივლისის № 61 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა ხარჯთაღრიცხვის კორექტირების, კერძოდ, ხარჯთაღრიცხვაში დამატებითი სამუშაოებისა და მასალის ტრანსპორტირების ღირებულების გათვალისწინებისა და სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ.

4.9. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 20 ივლისის № MIA52201998306 წერილით მიმწოდებელს უარი უთხრა მასალის ტრანსპორტირების ხარჯის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებაზე, ასევე, აცნობა, რომ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი ყველა დამატებითი სამუშაო დაემატებოდა ხარჯთაღრიცხვას და ანაზღაურდებოდა წარდგენილი ფორმა № 2-ის მიხედვით. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ თანხმობა გამოხატა სამუშაოების შესრულების ვადის კორექტირებაზე.

4.10. მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 21 ივლისის შეთანხმებით ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 564 053,12 ლარი, ხოლო სამუშაოების შესრულების ვადად – 2022 წლის 9 ოქტომბერი.

4.11. 2022 წლის 16 აგვისტოს № MIA72202273284 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გამოყენების შესახებ.

4.12. მიმწოდებლის 2022 წლის 26 აგვისტოს №75 წერილში აღნიშნულია, რომ მან შემსყიდველ ორგანიზაციას 2022 წლის 6 აპრილის №33 წერილით აცნობა მნიშვნელოვანი ხარვეზების თაობაზე, რომელიც მოითხოვდა მყისიერ მოქმედებებს, რაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების პროცესი. ასევე, ამავე № 33 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდის შესახებ და ეთხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ მისი ერთადერთი მოთხოვნა იყო ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება და კანონითა და კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული ოდენობით ხელშეკრულების ფასის გაზრდა, რაც სრულად არა, მაგრამ მნიშვნელოვანწილად აარიდებდა ზარალს და შესაძლებლობას მისცემდა ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ შემსყიდველ ორგანიზაციას არ გააჩნდა აღნიშნულის მზაობა, რადგან მას არ გადაუდგამს თანმხვედრი ნაბიჯი, რათა აეცილებინა დაბრკოლებები და მიმწოდებელს მისცემოდა საშუალება ვალდებულება შეესრულებინა ბოლომდე და ნაკლები ზიანით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა 2022 წლის 31 აგვისტოდან 2022 წლის 12 იანვრის №15 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

4.13. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 31 აგვისტოს № MIA02202419384 წერილით მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

4.14. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს 404 863,60 ლარის სამუშაო, რაც ხელშეკრულების ღირებულების 25%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მაგოილი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის 2022 წლის 6 აპრილის № 33 წერილზე და მიუთითებს შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 11 აპრილის № MIA32200951847 წერილზე, რომლითაც მიმწოდებელს შემსყიდველმა ორგანიზაციამ დაუსაბუთა, რომ კომპანიის მიერ გამოთქმული რიგი პრეტენზიებისა იყო უსაფუძვლო. გარდა ამისა, საგულისხმოა, ისიც, რომ მხარეთა შორის გაფორმებული 2022 წლის 21 ივლისის შეთანხმებით დაკორექტირდა როგორც ხელშეკრულების ღირებულება, ასევე გაიზარდა სამუშაოების შესრულების ვადა და განისაზღვრა 2022 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით. სააგენტო ასევე მიუთითებს მიმწოდებლის 2022 წლის 26 აგვისტოს №75 წერილზე, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მისი ერთადერთი მოთხოვნა იყო ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება და კანონითა და კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული ოდენობით ხელშეკრულების ფასის გაზრდა, რაც მნიშვნელოვანწილად აარიდებდა ზარალს და შესაძლებლობას მისცემდა ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ მიმწოდებლის მოთხოვნა არ გაითვალისწინა. სააგენტო განმარტავს, რომ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა განეკუთვნება სახელშეკრულებო დავის საგანს და იგი უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გზით. საგულისხმოა ისიც, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი და მიმწოდებელს არც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები/ ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მოცემულ გარემოებებსა და სამუშაოების არაჯეროვან შესრულებას შორის. ამდენად, არ არსებობს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და სახეზეა მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულია ხელშეკრულების ღირებულების 25%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „მაგოილი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მაგოილი“ (ს/ნ: 211379408) 2022 წლის 1 დეკემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე